№ 17 იანვარი 24, კვირა 1888 იანვარი 24, კვირა № 17


გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 70 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური


# ივერია


გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ ბებუთოვის ქუჩ., სახლი № 9, ბ-ნ ჩიდჟეველის საგაზეთოს, გოვინის პროსპექტი, წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1888 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1888


## ქართული თეატრი

**ბენეფისი ქ-ნ ლეონიძისა**

სამშაბათს, 26 იანვარს,

«ქართულ დრამატიულ საზოგადოების» დასის მიერ წარმოდგენილი იქნება ბ-ნ კ. **ყიფიანის** მონაწილეობით.

I

**ხანუმა**

კომედია 4 მოქმედებად, ა. ცაგარლისა

II

**პარიჟელი ბიჭი**

კომედია 2 მოქმედებად, გადმოთ. ფრანგულიდამ.

მოთამაშენნი: ქქ-ნი გაბუნია-ცაგარლისა, საფაროვ-აბაშიძისა, ლეონიძისა, თამაროვისა; ბბ-ნი კ. ყიფიანი, აბაშიძე, ხუციშვილი, მაქსიმიძე და სხვ.

დასაწყისი საღამოს 7½ საათზედ

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

---

ბ-ნნი წევრნი კავკასიის სასოფლო მეურნეობის საზოგადოებისანი მიწვეულ არიან მორიგს კრებაზედ, რომელიც დანიშნულია 26 იანვარს, საღამოს 7½ საათზედ.

განსახილველი საგნები:

1) მორიგი საქმენი;

2) მოხსენება მიწების იჯარით აღების თაობაზედ სახელმწიფო გლეხთაგან მიერ-კავკასიაში.

კრებაზედ ნება აქვთ დაესწრნენ არა-წევრნიცა. (2—1)

---

ტფილისი, 23 იანვარი

არ ვიცით სხვა როგორ ჰფიქრობს და ჩვენ-კი ისე გვგონია, რომ ერის დაცემა და გათახსირება მაშინ იწყება, როცა ერი, თავის საუბედუროდ, თავის ისტორიას ივიწყებს. როგორც კაცად არ იხსენება ის მაწანწალა ბოგანა, ვისაც აღარ ახსოვს ვინ არის, საიდამ მოდის და სად მიდის, ისეც ერად სახსენებელი არ არის იგი, რომელსაც ღმერთი გასწყრომია და თავისი ისტორია არ ახსოვს. რა არის ისტორია? იგია მთხრობელი მისი თუ,—რანი ვიყავით, რანი ვართ და რად შესაძლოა ვიყვნეთ კვლავადაც. ისტორია თავის გულის ფიცარზედ იჭდევს მარტო სულისა და გულის მოძრაობას ერისას და ამ დაჭდევითა, როგორც სარკე, გვაჩვენებს იმ ღონეს და საგზალს, რომელიც მომადლებული აქვს ამა თუ იმ ერსა დღეგრძელობისათვის და გაძლიერებისათვის.

უკეთესნი და უდიდესნი მოქმედნი ერისა, ხომ სხვა არა არიან-რა თუ არ ერის გულის-ნადების და წყურვილის გამომეტყველნი [illegible] რციელებელნი, რომელნიც ამის გამო თითქო შემოქმედობენ, თითქო ჰქმნიან ისტორიასა. ამიტომაც ეს ამისთანა მოქმედნი, ვამბობთ ჩვენ, დაუვიწყარნი უნდა იყვნენ, თუ ერს კიდევ ერობა ჰსურს და დედამიწის ზურგიდამ მტვერსავით ასაგველად არ გადაუდვია თავი. დავიწყება ამათი საკუთარის ვინაობის დავიწყებაა და თუ კაცს თავისი ვინაობა არ ახსოვს, რიღას მაქნისია? იგი ნადირია, რომელსაც, რაკი დედის ძუძუს მოჰშორდება, აღარ ახსოვს თავის მშობელი და სიცოცხლის მომნიჭებელი.

გარდა იმისა, რომ ამ უკეთესთა და უდიდესთა მოქმედთა მეოხებით და ღვაწლით ვცხოვრობთ დღესა და ვსულდგმულობთ, ამათ სხვა სამსახურიც მიუძღვით ჩვენ წინა. ისინი ცხოველი მაგალითები არიან მისი თუ,—რა სიმაღლემდე შეუძლიან ერს ამა თუ იმ გარემოებაში მიაღწიოს, რამოდენადაც დიდ-ბუნებოვანია ამისთანა მოქმედი, რამოდენადაც ეს დიდ-ბუნებოვანობა ხშირია რომლისამე ერის ისტორიაში, იმოდენად უფრო უტყუარი საწყაო გვაქვს ხელთ ერის სიკეთის, ძალ-ღონის და შემძლებელობის აწყვისათვის. თუ გუშინ იყვნენ ჩემის სისხლისა და ხორცის [illegible] ვანნი კაცნი, რა მიზეზია, რომ ხვალაც არ გამოჩნდნენ, თუ გარემოების იგივეობას ვიგულისხმებთ.

გარდა იმისა, რომ ამ უკეთესთა და უდიდესთა მოქმედთა მეოხებით და ღვაწლით ვცხოვრობთ დღესა და ვსულდგმულობთ, ამათ სხვა მნიშვნელობაცა აქვთ ერისათვის. ერი თავის გმირებში ჰპოულობს თავის სულსა და გულსა, თავის მწვრთვნელსა, თავის ღონეს და შემძლებელობას, თავის ხატსა და მაგალითს. ამიტომაც იგი ზოგს იმათგანს წმინდანების გვირგვინითა ჰმოსავს და ჰლოცულობს, ზოგს—დიდ-ბუნებოვანობის შარავანდედითა და თაყვანსა სცემს სასოებით და მადლობითა. ამიტომაც საჭიროა იმათი ხსოვნა, იმათი დაუვიწყარობა.

«ჩვენთვის, ადამიანებისათვის საჭიროაო, ამბობს ბრძენი სენეკა: იმისთანა კაცი, რომ მის მიხედვით და მაგალითით შევიძლოთ საკუთარის ხასიათის გაწვრთნა და გამტკიცებაო. ოჰ, რა ბედნიერია იგი, ვინც არამც თუ ჩვენთან ყოფნით გვწურთნის ჩვენ, არამედ მარტო თავისის სახელის ხსენებითაცაო.»

ამისთანა ბედნიერი დავით აღმაშენებელია საქართველოს ერისათვის [illegible] 24 იანვარია. ხოლო საქართველოს ეკკლესია, რომელიც ყოველთვის თავ-დადებით ჰპატრონობდა ჩვენს ერს და არას დროს დიდებას ერისას დავიწყებას არ აძლევდა, 26 იანვარს აქებს და ადიდებს სახელოვანს დავით მეფეს, რომელსაც უტყუარმა განაჩენმა ერისამ, ეკკლესიის დალოცვითა და კურთხევით, აღმაშენებლის სახელი დაარქვა საუკუნო სახსენებლად. ამ მართლადა დიდებულმა მეფემ ერთად მოუყარა თავი ქართველობას, აოხ[რ]ებული ქვეყანა ააშენა, მტე[რი] გაუფრთხო და გაუფანტა და დ[...] თუ ჩვენ ჩვენს ბინაზედ ვართ,—ეს [...] იქნება, იმისი ღვაწლი, იმისი სამ[სა]ხურიც უფრო იყოს. დიდ[ება] ხელსა მისსა!...

ხოლო დავით აღმაშე[ნებელი] სადიდებელია ჩვენგან არა [...] სახელოვან მეფობითა, [...] თავის დიდ-ბუნებოვან კაცობით[ა]. იგი, თავ-გადადებული მოყვარე [თა]ვის ეროვნობისა და მართლ-მად[ი]დებელის სარწმუნოებისა, დიდ პატივის-მცემელი იყო სხვის ეროვნობისაც და სარწმუნოებისა. ამისთანა შემწყნარებელი სხვისა მაშინ, როდესაც იგი ყოვლად შემძლებელ მბრძანებლად შეიქმნა სხვა-და-სხვა თესლის და სხვა-და-სხვა სარწმუნოების ერისა, ამისთანა სხვა ერის ღირსების თაყვანის-მცემელი იმ დროში, როცა კაცი კაცს შესაჭმელადაც არა ჰზოგავდა, ამისთანა კაცთ-მოყვარული პატივის-ცემა სხვის ეროვნობისა, სხვის სარწმუნოებისა ნუ თუ საკვირველი და

---

# ფელეტონი

**საქართველოს მეფე**

დავით-აღმაშენებელი

1089—1125

,,ბნელსა უკუნსა შინა იწყო აღმო-
,,ცისკრებად მზემან ყოველთა მეფობა-
,,თამან, დიდმან, სახელითა უდიდეს-
,,მან, საქმითა სახელმდგომმან დავით''.
,,ქართლის ცხოვრება''.

,,იყო მაშინ თთვე იანვარი ოც-და-
,,ოთხი და დღე შაბათი, ოდეს იგი აღი-
,,ყვანა ღმერთმან თვისთანა, სადა იგი
,,იქცევის ნათელსა შინა ღვთაებისასა''.
იქვე.

დღევანდელს დღეს გარდაიცვალა სახელოვანი, დიდებული და ჩვენის ეკკლესიისაგან წმიდათა თანა შერაცხული საქართველოს მეფე, დავით III აღმაშენებელი. მადლობელმა შთამომავლობამ დიდის ქველობისა და მხნეობისათვის უწოდა ამ მეფეს «აღმაშენებელი» და ეკკლესიამ წმიდათათანა შერაცხულის მეფის ხსენება დაუწესა 26 იანვარს. ხანგრძლივი მეფობა დავით აღმაშენებლისა გამუდმებული ღვაწლია და დაულალავი მხნეობა საქართველოს განდიდებისათვის, დიდებაა «ცად სხივ-მიმფენი», დიდი ნუგეშია ქვეყნისათვის, დიდი საბუთია ერის შემძლებელობისა და [...]ხელისათვის.

[...]კითხულობთ მატიანეს ამ მეფო[ბ]ის და არა გჯერათ, რომ საქართ[ვე]ლოს ერს ჰყოლოდეს ოდესმე [...] თი დიდ-ბუნებოვანი მმართველი და გამგებელი, ასეთი გმირთა-გმირი, მტერთა ზარ-დამცემი და თან ლმობიერი, გლახაკთა და დავრდომილთა გამკითხველი, დიდი ღვთის-მოსავი და კაცისა და ქვეყნის მოყვარული. ეჭვაღებული გული და გონება თქვენი, ამ ეჭვით შეშფოთებული და გაგმირული, ეძებს სხვა საბუთებს მატიანეს შესამოწმებლად და აი ყოველივე ეჭვი ჰქრება და იბნევა, რაკი ჰხედავთ, რომ მარტო მატიანე არა ჰლაღადებს ამ საკვირველის მეფობის ამბავსა, მარტო ქართველთ არ უკვირთ ძლევა-მოსილობა დავითის მეფობისა, არამედ ჰმოწმობენ ყველანი, მტერნიცა და მოკეთენიცა, უცხონიცა და შინაურებიცა.

## I

მეფე დავით III იყო ძე გიორგის მე-II მშვენიერისა. ამ მეფის დროს გამრავლდნენ და გაძლიერდნენ თურქნი-სელჯუკნი და დაიპყრეს თითქმის მთელი დასავლეთი აზია: არაბეთი, სპარსეთი, დიდი სომხეთი, მცირე აზია და საქართველოცა. სატახტო ქალაქი თურქთა-სელჯუკთა ბაღდადი იყო. აქ იჯდა მაშინ მალექშაი, მბრძანებელი ამოდენის ქვეყნებისა, რომელიც დანაწილებული ჰქონდა სხვა-და-სხვა მთავართა და თავადთა შორის მართვისა და გამგეობისათვის.

აი ამ მთავრებმა და თავადებმა დაიპყრეს საქართველოცა, მოსწყვეს და მოაოხრეს ქვეყანა და, რაკი დაიმორჩილეს, დაადეს ხარჯი და ზეგარა. ზამთრობით სამხრეთისკენ დაიწევდნენ ხოლმე თურქნი ტფილისის ქვემოთ და ზაფხულობით ისევ მთებისკენ მიეშურებოდნენ ბარგითა და ბარხანით, სახლობითა და საქონლით. ქვეყანა დიდს გაჭირვებაში ჩავარდა. შეშინებულნი მკვიდრნი აიყარნენ, მთებსა და კლდეებში გაიხიზნნენ და იქ იმალებოდნენ. მეფე გიორგი, მამა დავითისა, მართალია, რაინდი კაცი იყო, წამოსადეგი, თვალადი და ტანადი, მაგრამ უზრუნველობას მიეცა და ქვეყანას ვერ მოუარა. შეშინებულმა და ღონე-მიხდილმა ერმა ათქმევინა ამ მეფეს უარი მეფობაზედ და აიძულა სიცოცხლითვე გარდაეცა გვირგვინი მეფობისა თავის 19 წლის შვილის დავით მესამესათვის. ასეთს გაჭირვებულს დროს ავიდა სამეფო ტახტზედ ყმაწვილი, გამოუცდელი დავით; ავიდა ისეთს დროს, როცა თითქმის მთელი საქართველო, იმერეთსა და აფხაზეთ-სამეგრელოს გარდა, მოდებული იყო შემოსეულის მტრითა, როცა სამეუფო ქალაქი ტფილისიც-კი ხელთ ეპყრა უცხო ნათესავსა, როცა მტრისაგან შემკრთალი ხალხი აქეთ-იქით გაბნეულიყო და გაფანტულიყო, ხვნა-თესვა და ვაჭრობა მოსპობილიყო და გამქრალიყო, წირვა-ლოცვა შეწყდარიყო და წმიდა ეკკლესიანი მტერს საჯინიბოდ გარდაექცია.

«თურქთა მოჰჯამეს ქვეყანაო,—დიდის გულის ტკივილით მოგვითხრობს «ქართლის-ცხოვრება»,—და მოიწყვიდეს, თუ სადმე ვინ დარჩომილიყო ტყეთა, კლდეთა, ქვაბთა და ხვრელთა ქვეყანისათა. და ესე იყო პირველი და დიდი თურქობა. თუ ვინმე მთიულეთს, ანუ სიმაგრეთა სადაღა ვინ დაშთა კაცი, ზამთრისა სიფიცხითა, უსახლობითა და შიმშილითა ეგრეცა მოისრა. და არა იყო მათ ჟამთა შინა თესვა და მკა, და მოოხრდა ქვეყანა».

მაგრამ ეს კიდევ სრული სურათი არ არის იმ უბედურობისა, რომელიც საქართველოზედ დატრიალდა მაშინ. გამძვინებულმა მტერმა აღარა დაჰზოგა-რა: აღარც საცხოვრებელი ერისა, აღარც სარწმუნოება და სჯული იმისი, აღარც სიცოცხლე მამაკაცთა, აღარც ნამუსი დედაკაცთა,—ყოველივე წაპილწა და შეაგინა.

წმინდანი ეკკლესიანიო,—მოგვითხრობს იგივე «ქართლის ცხოვრება»,—შექმნეს სახლად ჯუნეთა მათთა, ხოლო საკურთხეველნი ღვთისანი არა წმინდებისა მათისა. მღვდელნი რომელნიმე შეწირვასავე შინა სამღვთოსა მსხვერპლისასა მუნვე მახვილითა შეწირულ იქმნეს... მოხუცებულნი არა შეწყალებულ იქმნეს, ხოლო ქალწულნი გინებულ, ჭაბუკნი დაკვეთებულ, ჩჩვილნი მიმოდატაცებულ»...

ასეთს დროს ავიდა სამეფო ტახტზედ ყმაწვილი დავით. ასეთს შავუკუღმა დღეს მიიღო ცხრამეტის წლის ჭაბუკმა სამეფო გვირგვინი მამა-პაპათა. სწორედ ასეთს დროსაც ეპირვებოდა ქვეყანას ამისთანა მხნე და ძლიერი გმირი, ამისთანა [...]ლავი მოღვაწე, ამ[...] მორჭმული და გამგებიანი. განგებამ უნუგეშოდ არ დასტოვა ერი საქართველოსი და ღმერთმა მოუვლინა მხსნელი. «მამამან ზეცათამანაო, ღაღადებით ამბობს მემატიანე,—ჰპოვა დავით, მონა თვისი და საცხებელი მისი წმიდა სცხო.»

ზეცა წყალობად, ნუგეშად
ივერსა გაოხრებულსა
მეფედ მოუვლენს დავითსა
ზეგარდმო სიურმით ცხებულსა,
მხედართ-მთავარსა უძლეველს,
გულ-მოწყალესა მსაჯულსა,
ზე-ჩაგონებით განსწავლულს,
ენა-მჭევრსა მეტყველსა.

## II

გამეფდა დავით და მოუწოდა შეშინებულსა და გაბნეულს ერსა, რომ დაესახლებინა კვლავ დატოვებულნი ადგილნი და დაბა და სოფელნი. ერმა შეისმინა ნუგეშ-მცემელი ხმა და დიდხანს არ გაუვლია, რომ კვლავ გაშენდა ქვეყანა მოოხრებული, დაცარიელებული და ამის გამო მტრისაგანაც-კი მიტოვებული. ეხლა ეპირვებოდა მეფეს გონება, ეხლა უნდოდა მხნეობა და გამოცდილნი, ერთგულნი თანაშემწენი, რომ არარაობიდამ კვლავ შექმნილიყო სამეფო, გონებაზე მოსულიყო ერი, კვლავ დამკვიდრებულიყო წესი და რიგი, მოშინაურებულიყო გაგარეულებული ხალხი, [...] მოსძებნა გონ[...] მზრა- ხიი[...]

საოცარი მაგალითი არ არის მეთორმეტე საუკუნის კაცისაგან!

[...]ტი-და დიდ-ბუნებოვანობა მოითხოვება განა მეთორმეტე საუკუ[...] კაცს მაშინ, როცა დღეს, მე[ცხრ]ამეტე საუკუნის დასასრულს, საკვირველებად მიგვაჩნია გლადსტონი, რომ ირლანდიის ეროვნობას და სარწმუნოებას ესარჩლება იმავე კაცთ-მოყვარეობით, რა კაცთ-მოყვარეობითაც დავით აღმაშენებელი სხვა ერს პატივსა სცემდა! ჩვენს მატიანებს თავი დავანებოთ და ვიმოწმოთ სხვა ერის მემატიანენი. ისინიც-კი აღტაცებით იხსენიებენ დავით აღმაშენებელს, როგორც კაცს, პატივის-მცემელს [დ]ა შემწყნარებელს სხვა ერისას [...] სხვა რჯულისას.

[ს]ომეხი მათე ედესელი ამბობს:

,,დავით იყო წმინდა, კეთილ-მსახური, [...] ქველ-მოქმედებით და მართლ-მსა[...] დავითის გარეშემო იკრიბებოდა [...]ი სომეხთა ნათესავი, რომელთა[...] დააფუძნა საქართველოში ქალა[...] (გორი), სადაც მრავალი ეკკლე[...] მონასტერი ააშენა. მიაგო ჩვენს [...]ავს ყოველ გვარი ნუგეშის ცემა და [...]ება''.

[ვ]არდან დიდი სწერს:

,,დავითს არავითარი სიძულილი არა ჰქონდა სომხურის წირვა-ლოცვისა და ეკლესიისა; იგი ხშირად იდრეკდა თავს ჩვენს ხელ-ქვეშ და ითხოვდა ჩვენს ლოცვა-კურთხევას''.

ეგ კიდევ არაფერი, რომ დავით აღმაშენებელი ასე ექცეოდა სომხებს, რომელნიც, რაც უნდა იყოს, ქრისტიანენი იყვნენ და არიან. დიდ-ბუნებოვანი კაცთ-მოყვარეობა დავით მეფისა მაჰმადიანებსაც მიეფინათ და მით უფრო ბრწყინვალეა ეს ამბავი, რომ მაჰმადიანები თვით დავით მეფისა და მისის ერის სარწმუნოებას ერჩოდნენ აღმოსაფხვრელად. მაჰმადიანთა მწერალი ალ-აინი აი რასა სწერს:

,,დავითს სთხოვეს მუსულმანებმა, რომ ქრისტიანეთ არა ჰქონოდათ ნება მუსულმანებთან ერთად შესვლისა აბანოში და აეკრძალნა გიაურებისათვის მათი ავად-ხსენება. დავითმა ყოველივე ეს თხოვნა აუსრულა. დავითი თავის შვილის დიმიტრითურთ ყოველ დღე დადიოდა უმთავრესს მეჩითში, ისმენდა სამეფო ლოცვას და თვით ყორანის კითხვას. დავითი უხვად აძლევდა ფულს ქათიბს და მუაძინებს. მან ააშენა უცხო ტომთათვის ქარვასლები და სადგომი სახლები მოქადაგეთა, სუფიებთა და პოეტთათვის, რომელთაც ულუფას უნიშნავდა. თუ ვინმე ისურვებდა ტფილისის დატოვებას, გულ-სავსებით ხელს უპყრობდა და მგზავრობის ღონის-ძიებას აძლევდა ფულით. დავითი უფრო მეტს პატივსა სცემდა მუსულმანთა, ვიდრე მთავარნი მუსულმანთანი'' *).

ყოველივე ეს დიდ-ს[ულო]ვანება და სულგრძელება დავითისა მაშინ არის მომხდარი, როცა ძლევა-მოსილი იგი მეფე სრულად გაბატონდა თავის ქვეყანაში და, მაშასადამე, ამისთანა პატიოსანი და განათლებული ქცევა მარტო იმის დიდ-ბუნებოვან გულს და გონებას უნდა მიეწეროს და არაფერს სხვას. იმას აღარ ვამბობთ, რომ სნეულთა, უღონოთა და საპყართათვის დავითმა ააშენა სამკურნალო, თვითონ ხშირად დადიოდა ამ უბედურთა სანახავად და მოსაკითხავად.

აი ეს დიდებული მეფე რა დიდებულ კაცურ კაცის სახესაც მოგვივლენს თვალ-წინ და რა თავმოსაწონებელს საბუთს გვაძლევს ხელთა. აი ამისთანა კაცის ხსენება გამაცოცხლებელი ერისა და ამისთანა კაცის არ ხსოვნა მომაკვდინებელ ცოდვად უნდა ჩაეთვალოს ერსა, რომელმაც იგი ჰშვა და თავის ძუძუთი გამოჰზარდა. ჩვენმა დამცველმა ეკკლესიამ ეს კარგად იცოდა და ამიტომაც 26 იანვარი დაგვინიშნა, რომ წელიწადში ერთხელ მაინც გავიხსენოთ ეს ქართველისათვის თავმოსაწონებელი დიდებული მეფე, დიდებული კაცი.

კაცს ორი სახელი უნდა ჰქონდესო, ამბობს ჩვენი ერი: ერთი აქ დასარჩენი, მეორე თან წასაყოლიო. ეს ანდერძი ქართველისა ისე არავის შეუსრულებია, როგორც დავით მეფესა. აქ აღმაშენებლის სახელი დარჩა, როგორც მეფეს და იქ, როგორც დიდ-ბუნებოვანმა კაცმა, წაიყოლია სახელი წმინდანისა, დიდების გვიგვინით შემკობილი.

*) როგორც ეს ციტატა, ისეც ზემოთმოყვანილნი ბ-ნ დ. ბაქრაძის შენიშვნებიდამ არის ამოღებული.

## ახალი ამბავი

⁂ სამშაბათს, 26 იანვარს, ქართულს თეატრში, ქ-ნ ლეონიძის ბენეფისზე, ითამაშებენ 4 მოქმედებიან კომედიას ბ-ნ ცაგარლისას — «ხანუმა» და ორ-მოქმედებიან კომედიას — «პარიჟელი ბიჭი». სხვათა წარჩინებულ არტისტთა შორის მონაწილეობას მიიღებს აგრეთვე ბ-ნი კ. ყიფიანი, შვენება და თაიგული ქართულის სცენისა.

⁂ დღეს სიონში მწირველი ბძანდება საქართველოს ეგზარხოსი, ყოვლად უუსამღვდელოესი პალლადი.

⁂ 20 იანვრიდამ, როგორც ვაცხადებდით ჩვენს გაზეთში, ტფილისის დამოჟნაში აუქციონით დაიწყეს გასყიდვა წართმეულ საქონლისა. ხალხი ბევრი მიაწყდა, მაგრამ სავაჭრო ნივთები თითქმის იმავ ფასად იყიდებოდა, როგორც მაღაზიებში. ამიტომ ბევრი მუშტარი უკანვე დაბრუნდა.

⁂ რადგან მტკვარი წელს არ გაჰყინა ტფილისში, ამიტომ საზაფხულოდ ყინულს სოფლებიდგან ეზიდებიან. ლუდის გამკეთებელნი აქამდის ურემში 2 მ. 50 კ. იძლეოდნენ, პარასკევიდამ-კი პირი შეჰკრეს ვაჭრებმა და ურემს ყინულში ექვს აბაზზე მეტი აღარ მისცეს. ამის გამო ტფილისში გუშინა და გუშინ-წინ გლეხებმა ნაკლებ ჩამოიტანეს ყინული. უეჭველია, ფასი ხელ-ახლად აიწევს, რადგან მტკვარი როგორღაც არ აპირობს გაყინვასა.

⁂ პეტერბურგიდამ მოსულა დეპეშა, რომ რუსეთის საგეოგრაფიო საზოგადოების კრების სამეცნიერო მოღვაწეობისათვის ბბ-ნი ლ. პ. ზაგურსკი და ნ. ი. დინნიკი უცვნიათ ოქროს მენდლის ღირსად, ხოლო ბ-ნი კ. ნ. როსსიკოვი — ვერცხლის მენდლისა.

⁂ ამ დღეებში დაიბეჭდა მეშვიდე და უკანასკნელი ტომი რუსულს ენაზედ «Матеріалы для изученія быта государственныхъ крестьянъ закавказскаго края».

⁂ ხვალ, 25 იანვარს, დანიშნულია მორიგი კრება საქალაქო საბჭოსი. სხვათა შორის განიხილება შემდეგი საყურადღებო საქმენი: მოხსენება გამგეობისა შესახებ საყასბოს აშენებისა, მოხსენება გამგეობისავე ამ წლის დეფიციტის გამო, მოხსენება მასზედ, რომ საშუალო აქციზი დაედვას ლუდხანებს, სადაც ადუღებულ წყალსა ჰყიდიან. მეოც-და-ოთხე საქმედ დანიშნულია წინადადება ხმ. თამამშოვისა, კოლუბანსკისა, გარსოევისა, ივანენკოსი და ანანოვისა იმის თაობაზედ, რომ ცხენის რკინის გზაზედ განუწყვეტელია ყოველ გვარი უწესოება. კარგი იქმნებოდა, რომ ეს წინადადება შეძლებისამებრ ჩქარა განიხილოს საბჭომა.

⁂ მინდვრის ოსებში ლამის ერთიან მოისპოს ქურდობა-ავაზაკობაო — გახარებული გვწერს ჩვენი კავკაველი კორრესპონდენტი. 15-მდე ყარაული დაუყენეს თითო სოფელს. სოფ. არდონში დააარსეს სამ-კლასიანი სასულიერო სასწავლებელი ოსებისათვის. უეჭველია, ამასაც ჯეროვანი ზედ-მოქმედება ექმნება ოსების ზნეთა გაფაქიზებაზედ.

⁂ გაზ. «Нов. Обоз.»-ში ვკითხულობთ, რომ ამას წინად ტფილისის ვაჭართა გამგეობის კრებაზე ლაპარაკი იყო იმაზედ, რომ დაარსდეს სავაჭრო სასწავლებელი ტფილისში. კრებამ გარდასწყვიტა, რომ ფულის უქონლობის გამო შეუძლებელია ამ სასწავლებლის გამართვაო.

⁂ იმავ გაზეთში ვკითხულობთ, რომ რაკი ვაჭარს სააკოვს ციხეში ჩასმა გადაუწყვიტეს იმის გამო, რომ სწორე ქვებს არა ჰხმარობდა სასწორზე, ამითი შეშინებული ვაჭრები წა-

---

«შემოკრიბნა კაცნი პატიოსანნი ცხოვრებითა და შემკულნი ყოვლითა სათნოებითა, არა თვისთა სამეფოთა ოდენ შინა შობილნი, არამედ ქვეყანისა კიდეთა, სადაცა ესმა ვიეთმე სიკეთე და სისრულე, სულიერითა და ხორციელითა სათნოებითა აღსავსეობა.»

ამისთანა თანაშემწენი შემოიკრიბა და დაიახლოვა და მათთან ერთად ბჭობდა და იძიებდა, რა უფრო კარგი იყო სამეფოსათვის. უპირველეს ყოვლისა დავითმა და იმისმა თანაშემწეებმა მიაქციეს ყურადღება დასუსტებულის სარწმუნოების გაძლიერებასა და დაცემულის ზნეობის აღდგენასა,

«რამეთუ წმინდანი ეკკლესიანი, სახლნი ღვთისანი ქვაბ ავაზაკთა ქმნილ-იყვნეს. უღირსთა და უწესოთა, უფროსითა მძლეობითა, ვიდრე ღირსებითა დაეპყრნეს უფროსნი საეპისკოპოსონი, არა კართა მწყემსებრ შესრულნი, არამედ ავაზაკებრ ერდოთ შესრულნი. და მათნივე მსგავსნი ხუცესნი და ქორეპისკოპოსნი დაედგინნეს... და მღვდელთაგან გამოვიდოდა ყოველი უსჯულოება და ცოდვა»...

აი ამ დიდს სენს უნდოდა კურნება, ამ დიდს უბედურობას უნდოდა აღმოფხვრა. ამისათვის განიზრახა დავითმა და მოუწოდა სამღვდელოთა კრებას, რომელსაც უნდა განეხილა ყოველი უკანონობა და უსჯულოება და დაედგინა უკეთესი რიგი და წესი. კრება შესდგა მართლაც და კრებამ შეადგინა შესანიშნავი «ძ[illegible]

მრავალი: სამეფოსა თვისისა კათალიკოზნი, მღვდელ-მთავარნი, მეუდაბნოენი, მოძღვარნი და მეცნიერნი... და მრავალ დღე გამოწვლილვითა და ფრიადითა შრომითა კეთილად გამოიძიეს და ყოველი ცდომილი განმართეს და კეთილ-წესიერება ყოვლითურთ დაამტკიცეს. უღირსად გამოჩინებულნი გარდამოსთხივნეს საყდართაგან და შეაჩვენეს, და მათ წილ ჭეშმარიტნი მწყემსნი და სათნონი ღვთისანი დაადგინეს.

თუმცა ადვილი არ იყო ესა, რადგან დიდი ადგილები დაეჭირათ მთავართა და წარჩინებულთა შვილებსაო.

### III

სწორედ ამ დროს, როცა ასე ზედმიწევით მიდიოდა საქმე, უფრო კარგი შემთხვევა მიეცა დავითს, გაეძლიერებინა თავისი სამეფო და დიდის ხნით ცალკე განდგომილი კახეთიც შემოიერთა. თვით კახელებმა შეიპყრეს თავიანთი ბატონი, აღსართანი, და დავითს წარუდგინეს. ვინც ეს არ ინება, იმათ მოუწოდეს განჯის ემირსა დავითის წინააღმდეგ საბრძოლველად. ერწოში მოუხდა პირველი დიდი ომი დავითსა, რომელიც ჯერ კიდევ კარგად არ იყო საომრად მომზადებული, ჯარი ცოტა ჰყავდა და გაუწვრთნელი. მაგრამ ამ ომში საკვირველად გაემარჯვა მეფესა: თვითონაც ისე იბრძოდა, როგორც უკანასკნელი მეომარი, სამი ცხენი მოუკლეს ამ ომში დავითსა და, როცა მეოთხე ცხენი მოითხოვა, მხოლოდ მაშინ გათავდა [illegible] მტერი იძლია. დავითმა აიხადა [illegible] ქართველი და პე[illegible] დიდ-ძალი შემხმარი სისხლი ჩაგუბებულიყო. ეს სისხლი მტრისა იყო, ხმალ-ხმალ ეწვეთნა სახელოში და აქ დაგუბებულიყო. პირველად-კი ჰგონებოდათ, რომ უთუოდ მეფე დაჭრილიო. დიდის სიხარულით აღგვიწერს ამ პირველს გამარჯვებას და დავითის ძლევა-მოსილობას მემატიანე, რომელიც, როგორც ეტყობა, თვითონაც დამსწრე ყოფილა ამ ომისა. აი თვით იმისი სიტყვები:

«ხოლო თვით მეფე არა თუ ვითარცა სხვაი ვინმე ზურგით უდგა ოდენ სპათა თვისთა, ანუ შორით უზრახვიდა, არამედ უპირატეს ყოველთა თვით წინა უვიდოდა და ვითარცა ლომი შეუზახვიდა ხმითა მაღლითა და ვითა გრიგალი მიდამო იქცეოდა, თვით გოლიათებრ მიმართებდა, თვით მკლავითა მტკიცითა და ხმობდა ახოვანთა. სრვიდა და დასცემდა წინა-დამთხვეულთა ყოველთა, ვიდრემდის ფრიადისა ცემისაგან ხრმლითა მისითა უკ-მომდინარითა სისხლითა წელნი აღსავსედ ეტვირთნეს, რომელსა პირველ განხილვისა თვით მისგან ვგონებდით გამოსრულად».

ამ გამარჯვების სადიდებლად დავითმა ჩაჰყარა საძირკველი გელათის ტაძრისა და დაიწყო მისი აშენება.

### IV

პირველმა გამარჯვებამ დიდად გაამხნევა დავითი. ამ დროს დაემოყვრა ყივჩაყთა მფლობელს და იქიდგან დიდ-ძალი მხედრობა გადმოიყვანა, გასწვრთნა თავის სურვილისამებრ და მიუმატა საქართველოს ჯარსა. საკუთარი საქართველოს ჯარიც დიდის მოხერხებით დააწყო და გაწვრთნა. მასუკან დაიწყო ომები[illegible]თა წინააღმდეგ[illegible] ცებს ბევრად ბედიცა ჰშველით ხოლმე; ან თუ ბედი არა ჰშველით, იმდენად ჭკუა-გამჭრიახნი და გონება-მახვილნი არიან, რომ ყოველ უმნიშვნელო გარემოებასაც-კი თავიანთ სასარგებლოდ ადვილად გამოიყენებენ ხოლმე. ასე იყო სწორედ დავითის საქმეცა. როცა ცოტ-ცოტათი მოაწყო ჯარი, მაშინ გარდაიცვალა თურქთა ბრძანებელი მელიქ-შაიცა. დავითმა ახლა-კი გადაჭრით შეუთვალა თურქებს უარი და ერთი დარჰკანიც აღარ გაუგზავნა ბეგრად. ეს ფულიც თავის საკუთარს მხედრობას მოახმარა და უფრო უკეთ შეაიარაღა და აღკაზმა. საქართველოს ბედზედ, მელიქ-შაჰის შვილებიც მაშინ აირივნენ მამის სამკვიდრებლის გამო. სწორედ ამ დროსვე გაჰგზავნა ევროპამ ჯვაროსანთა მხედრობა იერუსალიმს ქრისტეს საფლავის გამოსახსნელად მოსლემინთა მფლობელობიდამ. დავითის საქმე ახლა უფრო გაკეთდა. დაიწყო ომები თურქებთან და რამდენჯერმე ზედი-ზედ დაამარცხა. პირველმა გამარჯვებამ დიდის სიხარულით აღავსო ქართველები, რომელთაც თურქნი უძლეველნი ეგონათ. მასუკან უფრო მეტად ძლევა-მოსილნი შეიქმნენ, მაგრამ ისეთი სიხარული აღარ უგრძვნიათ. დავითი თავის ლაშქრით შავარდენივით დაჰფრინავდა: დღეს რომ ქვეყნის ერთს კუთხეში იყო, ხვალ უცბად მეორე კიდურზედ გაჩნდებოდა და მოულოდნელად ესხმოდა თავს მტერსა. ჰბრძანებდა, აბხაზეთში მივდივარო, წავიდოდა კიდეც და ანაზდეულად გაჩნდებოდა ჰეროთის პირას, საცა წინადვე განზრახულნი ჰყვანდა ლაშქარნი, რომ [illegible]ქა-და-აქ უნდა შეკრბითო[illegible]და და ზამთრის პირშივე იმერეთს გადავიდოდა ქართლიდამ. ზამთრისა და დიდის თოვლის იმედით მტერი დავითს არსაიდამ არ ელოდა, მაგრამ შუა ზამთარში უეცრად დაბრუნდებოდა უკანვე, დაეცემოდა და იქ, საცა მტრის ბანაკი იყო, აუარებელის სისხლის ოშხივარი-ღა ადიოდა და ბრძოლის შემდეგ მტრის მძოვრი-ღა ეყარა. ამ გვარად დავითმა ათამდე ომი მოიგო და სრულიად გაანთავისუფლა საქართველო თურქთაგან. ორჯელ-სამჯერ ისეთი გამარჯვება დარჩა დავითს, რომ გაამდიდრა ქვეყანა ურიცხვის მტრის ბანაკის აკლებითა. ხალხმა აღარ იცოდა, სად წაეღო აუარებელი ნადავლი და ნაალაფევი: არაბული ცხენები, ჯორ-აქლემები, ოქროქსოვილები, კარვები, მდიდრულად მორთულები, ოქრო და ვერცხლი, თვალი და მარგალიტი.

«ყოველი სამეფოვო, ამბობს «ქართლის ცხოვრება», აღივსო ოქროთა და ვერცხლითა, არაბულითა ცხენებითა, ასურულითა ჯორებითა, კარვებითა, სრა-ფარდაგებითა, სხვით უცხოთა ჭურჭლებითა, სასმურთა[illegible] ტურფათა და სანადიმოთათა, საბანელთა და სამზარეულოთათა»,

ასე ბრძოდა და ლაშქრობდა ეს საკვირველი და მხნე მეფე, რომელმაც მოსვენება არ იცოდა, რა იყო, რომელმაც «არა ჰსცა ძილი თვალთა, არცა ჰრული წამთა, არც განსვენება ხორცთა თვისთა». ას[ე] დაუღალავის მხნეობით მოაშ[illegible] მტერი თავის სამშობლოს, რომ საზღვრებიც გაავრცელა კავ[illegible] მთებამ[illegible]

რსულ თთვესა და ეხლა მუდამ დღე მოდიან ქალაქის გამგეობაში, რათა ბეჭედი დააკერევინონ ქვებსა და საფლავზე. მიზეზიც ეს არისო, — ამბობს გაზეთი, რომ წინად ქალაქის გამგეობას ბეჭდის დასმით შემოსავალი წელიწადში სულ 200—250 მანათი ჰქონდა, და ეხლა-კი, ამ ორ თთვეში, აილო 497 მანათი და 16 კაპიკი.

<>

## სახელდახელო

(ყბად-აღებული—წყალ-წაღებული ამბები)

ლ... რომ ჩქარა მეორედ ... მეთქი, რადგან ნურც ისეთი ცრუმორწმუნე გეგონებით, და ქვეყანას რომ რაღაცა აწუხებს, სადღაც ამსუბუქებს, სადღაც ამძიმებს, ამასკი, მგონი, არც «კავკაზის» პუბლიცისტების მეცნიერება ეჭირვებოდეს და არც ნოტარიუსის «უდოსტოვერენიე».

ერი და ფერი იცვალა ქვეყანამ, ახალი თევზი შემოვიდა, ახალნი მეთევზენი, ახალი ნადირი და მონადირე და, ასე წარმოიდგინეთ, ახალნი დევ-გმირნიც-კი. სადღაა «აბჯართ ჩხრიალი, ცხენთა თქრიალი», სადღაა ის შვიდ და ცხრა თავა ბაყბაყ დევები, ბუმბერაზ გმირნი, რომელნიც ერთის ლახტით დაკვრითა და ყვირილით იალბუზის მთებსაც-კი ძირით-თხემამდე ... მე. ხალხი დაწვრილმანდა, დაქუცმაცდა, და...დრის-კაცდა. ამას ხომ «კავკაზის» მეცნიერებიც თავისის მაგალითით გვიმტკიცებენ; მაგრამ, ... ბოდიშს ვიხდი, იმათ რომ ვახსენებ, და ჩვენ-კი ისევ მას დაშთომილის სიტყვისა მიმართ აღვიდეთ.

თითქო ხალხის ტანძა და აგებულებამ ფერი იცვალა, თითქო ის აღარ არის ზნე-ჩვეულებაც, — ერთის სიტყვით, ყველაფერი მარტის დღესავით თითქო გადასხვაფერდა, გადასხვარჯულდა, და, რა თქმა უნდა, რომ უწინდელს დევ-გმირობასაც ახალი სახე უნდა მიეღო. ამას, მგონი, არ უარ-ჰყოფს თვით «კავკაზის» მეცნ... ფუ!..

ეხლა აღარ არის საჭირო აბჯარი, მოზარადი, ჩაჩქანი, ფარი, ლახტი, ... ბუმბერაზ მთებსა და გველ...ს ეომება ვინმე. საკმარისია, ...კმო პატივცემულო მკითხველო, სულ ვითომ-და უბრალო: ცოტაოდე გოგრაში გეყაროს, მოქნილი ენა გქონდეს, რომ გოგრაში ჩაყრილს მასალას კარგადა ჰფქვავდე, და პაწაწკინტელა კალამი. ეს არის და ეს. უმთავრესი და უპირველესი-კი გოგრა გახლავთ. თუ იქაურობა ხელისგულსავით მოწმენდილია და ჩრდილოეთისა და სამხრეთის ქარი ხან აღმა დაჰქროლავს, ხან დაღმა, უჭკოდ წამხდარხართ კაკალი კაცი, ვეღარც მოქნილ-მოქლესილი ენა გიშველით მაშინ რასმე და ვეღარც პაწაწკინტელა კალამი.

**

რასაკვირველია, ამ ახალს ფერისცვალებას ქვეყნისას ახალი ფერ-ნაცვალიევე გმირები მოჰყვნენ თანა, რომელთაც ჭკუისა, ენის და კალმის შემწეობით ლამის მთელი ქვეყანა არიე-დარიონ, აქოთქოთონ, გადმოაბრუნონ, ზე ასულნი ძირს დასცენ და ქვე დაცემულთ ღრუბლებში ამოაყოფინონ თავი.

მაღალთან მდაბალი, კარგთან ცუდი, ძლიერთან უძლური, შუბლ-შეჭმუხვნილთან ტაკი-მასხარა რომ არ იყოს, შეუძლებელია. ეს ჭეშმარიტება ხომ «კავკაზის» მეცნ... ფუუ!.. ეს ჭეშმარიტება ხომ თქვენც, უეჭველია, კარგად მოგეხსენებათ. და აი უწინდელ გმირებთან, რომლებიც ბაყბაყ დევებს ეომებოდნენ, სცხოვრობდნენ «დონ-კიხოტებიცა», რომელნიც, ბაყბაყ დევებს-კი არა, ქარის წისქვილებს ეომებიან და უბრალო მწყემსი შვიდ-თავიანი გველეშაპი ჰგონიათ.

ასე იყო უწინ, ასე უნდა ყოფილიყო აწიც და ასეც არის, ხოლო ფერ-შეცვლით-კი, გადასხვაგვარებით, გადასხვარჯულებით. ბევრნი არიან ჩვენშიაც ნამდვილს გმირებთან ერთად, თუმცა-კი გმირების სახელებს ირქმევენ, პაწია «დონ-კიხოტებიც», რომელნიც დაწრწიან, დაჰფუსფუსებენ, სისინებენ, თავები მწვანე კიტრივით მოაქვთ, რომელთა გოგრასთან ჭკუას ისევე ხელი არა აქვს, როგორც მე, ვთქვათ, ბერლინის ტრაქტატის შედგენასთან, შედგენასთან-კი არა, ცოდვა გამჟღავნებული სჯობია, შორიდგანაც არ მომიკრავს თვალი, თუ რა სიგრძისა და სიგანისაა, ის საოხრო და სატიალო ტრაქტატი.

მაგრამ ეს «დონ-კიხოტები»-კი მაინც თავისას არ იშლიან, ჯერ ბუნებითის ნაკლის დასაფარავად ჭკვიანად აჩვენებენ ქვეყანას თავსა, ვითომ-და ჩვენა ვართ, რაცა ვართ, და შემდეგში-კი ისე შე...ვისებებს, ისე შეიხორც...ლებენ ხოლმე ამ სამგონიაოდ გამოჩენილს ჭკვიანობას, თითქოს და მართლაც ქვეყანა და ქვეყნის საქმე იმათს ჰოსა და არაზედ იყოს დამოკიდებული.

გამოსულან ეს ვითომ-და დევ-გმირები საბურთალო მოედანზედ, მუდამ ვიღაცა მტრებს ებრძვიან, მუდამ ვიღაცანი მიაჩნიათ თავის მტრებად. თითოეულს მათგანს წარბები შეუჭმუხვნია, ცდილობენ ღრმად დაფიქრებული სახე მიიღონ, ხელთ აღუპყრიათ მჭრელთ-უმჭრელესი და ბასრთ-უბასრესი კალამი და ჰაერში თითის ქნევით იმუქრებიან:

— გველნო, ნაშობნო იქედნეთანო, აწ ვერღარა განერნეთ სასჯელსა მას გეენიისასა, რამეთუ აღვალოთ იგავით პირი ჩვენი, და ვიტყოდეთ დაფარულთა დასაბამიდგან სოფლისად!..

**

ამ ჭეშმარიტ გმირების ნაძირალებსა და ნაფხეკებსა ნიჭი და შექმნის უნარი ქოჩორთანაც-კი არ მიჰკარებიათ და ყოვლად უძლურნი, ყოვლად უღიმღონი არიან ნამდვილ საქმისათვის და ამისათვისაც ის უფრო ემარჯვებათ, რომ მოსაქმეთ კლანჭი გაჰკრან, გამოჰკრან, საქვეყნოდ ასწონ-დაწონონ იმათი ნაშრომ-ნაღვაწი, წაუმუჯლუგუნონ, დაიწუნონ, ტუჩები აიპრიწონ და ან თავზედ ხელი გადაისვან:

— ყოჩაღ, ეგნატე!

ემარჯვებათ ამ ბატონებს «კლიტიკოსობა», რადგან და მართლაც იმაზედ ადვილი რა არის, რომ ჰაერში სურათები დახატოს, «ჯანყითა და ბურუსით» მოცული, და ან კიდევ სთქვას კაცმა: «ძალიან კარგია! მშვენიერია! ჰაი, დაგელოცა მარ...ჯვენა. მწერალ...!», ან «ვის ეკადრება, ვის გამოუჩენია მწერლად თავი და ჩვენს ბანაკში გამორევას აპირებს, ეგ ვიღა წამოპოლორჭიკებულა, ჰკათ მაგას, ეგ ჭამის მეტს არას აკეთებს, რაც დაუწერია, სულ ერთიერთმანერთზე უარესია, და ამას იქით თუ დასწერს კიდევ რასმე, იმისი-კი მე ვიცი — სულ მტვერ-ბუქს ავადენ, ნაცარტუტას შევაყრი, მიწასთან გავასწორებ, გავათახსირებ, ლაფსა და მწვირეში ამოვსვრი!»

აი ამისთანა ცალიერ რახუნა სიტყვებით დღეში თითო დავთარს აჭრელებენ და ცა ქუდად აღარ მიაჩნიათ, დედამიწა ქალამნად ამ ციდამტკაველა ქონდრის კაცებს.

მერე რა თავი მოაქვთ, რამდენსამე ამისთანა შეკრულს დავთარს რომ დაინახავენ! სხვის განსჯაში ხომ შედიან, არც თავის თავს აკლებენ გუნდრუკისა და მურის კმევასა. შესცქერიან თავიანთ ნამოქმედარს დავთრებს, თვალებზედ ცრემლი მოადგებათ ხოლმე და აყუჩებულის გულით საქვეყნოდ აცხადებენ:

— Exegi monumentum! თავი გადავდეთ ქვეყნისათვის, ვიშრომეთ, ვიღვაწეთ, ვინ იცის, რამდენი სისხლი და ნაღველა წავიხდინეთ, სიცოცხლის დღენი გავიმწარეთ ამ საქვეყნო საქმისათვის თავ-გადადებასა და თავ-განწირვაში.

ღმერთმა დაგიფაროთ-კი და თუ ერთი როგორმე ღმერთი გაგიწყრათ და ტკბილად უთხარით: არა, ძმაო, შორს გადუხვიე, აიგერ გზა საით არისო! — ვაი თქვენს მტერს. გული ყელში სჩრიათ, მაშინვე ყალხზე შედგებიან, თმა მაღლა წაუვათ, თვალები წამოუსისხლიანდებათ, ნიშადურამოცხობილსავით შეხტებიან და შემოტრიალდებიან:

— ეგ არის ... ეგა, მაგან დაღუპა ქვეყანაო! ეგ გვიშლის ყველაფერში ხელსა, თითონ ... და კოფოზედ შემხტარა და ჩვენ-კი გზას

---

ხარჯი და ბეგარა და შიში მისცა მტერს შუა მდინარეთამდე.

> ხმა ჰყო და აღსდგა ივერი,
> ფენიქსებრ განახლებული,
> დიდების სხივით შემოსილ,
> მშვიდობით აღყვავებული!..
> აღმსედრდა ლაშქრად და ილტვის
> სულთანი შემრწუნებული,
> შირვან-დერბენდი ჰყო საზღვრად,
> მისის ხმლით შემოხაზული!..

### V

ამ ხმალით შემოხაზულს საზღვრებს ახლა დავითის მეოხებით ჰყვანდა დასაცველად 60,000 მუდმივი ჯარი, ანუ როქის სპა, რომელსაც ... ამაგირი ეძლეოდა სამეფო ხაზინიდამ, ჯარი ანუ სპა, საგანგებოდ გაწვრთნილი, დიდის გენიოსობით დარაზმული და დაწყობილი. ეხლანდელთ სამხედრო კაცთ, სამხედრო საქმის ზედ-მიწევნით მცოდნეთა და დიდის ნაპოლეონისა, მოლტკესა და სხვა სამხედრო გენიოსთა საქმეთა მოსწრებულთა და მიხვედრილთ, უკვირთ და განსაცვიფრებლადა აქვთ, როცა უფიქრდებიან საომარს წესებსა და ზნეს, დავითის მიერ ხმარებულსა, როცა დღევანდელის სამხედრო მეცნიერების თვალით უკვირდებიან და ულრმავდებიან, როგორი ტაქტიკა და სტრატეგია ჰქონია დავით მეფეს თურქებთან ბრძოლის დროს*).

დავითს დიდის მხნეობისა და ჭკუის გარდა, რომელიც იმის გენიოსობას ამტკიცებს, ერთი სხვა ხასიაცა ჰ...ნია, დიდ-ბუნებოვან კაცთა ხასიათის მიმსგავსებული. როგორც ნაპოლეონ I იყო დიდის მეხსიერების პატრონი, საკვირელად იცოდა ყოველივე დაწვრილებული კერძოობაც-კი საქმისა, ახსოვდა უკანასკნელი მეომრის სახელი და გვარიც-კი, ცხადად ჰქონდა თვალ-წინ წარმოდგენილი რუკანი და ველთა და ბორცვთა მდებარეობა**), ისე დავითი ყოფილა დიდის მეხსიერების კაცი, შორს გამჭვრეტელის ნიჭის პატრონი, ადამიანის გულის მცოდნე და თითქმის გულთა-მხილავი. მატიანე მოგვითხრობს, რომ

> «აქვნდა ამას ყოვლად ბრძენსა მეფესა საქმედ ესეცა, რომელთა უმეტეს ყოველთა საშიშად საზარელ იყო ყოველთა. რამეთუ ღვთისა მიერ იყო მის ზედა ნიჭი ესე და საქმე ყოვლად საკვირველი: არა-რა შორიელი, არცა სამეფოთა შინა მისთა, არცა ლაშქართა შინა მისთა მყოფთა კაცთათა და დიდთა და მცირედთა საქმე ქმნილი კეთილი, გინა სიტყუა ბოროტი თქმული არა-რა დაეფარვოდა ყოვლადვე, არამედ რაოდენცა ვის ფარულად ექმნის, ანუ თუ ეთქმის, ყოველივე ცხად იყო წინაშე მისსა, ვიდრემდის გულის-სიტყუანიცა; მოგონებანი ვითნიმე მოუთხრნის მათ, რომელთაც ზარ-განხდილ ყვის. და მონაზონთა განშორებულთა სენაკთა შინა მათთა ქმნილნი დევნილნი და სათნოებანი უწყოდნის ცხადად. სიშორე გზისა, ვიდრე ეგვიპტამდე, ზომით იცოდის და მოთმინებისათვის აქებდის და ჰგმობდის».

ცხადია, რომ ასეთის მხედართმთავრისა და სპასალარის ლაშქარი ზედ-მიწევნით იქმნებოდა გაწვრთვნილი და თვით ლაშქარსაც დიდად სათაყვანებლად ეყოლებოდა ასეთი მწვრთნელი.

> «საჭურჭლენი სიმღერანი, სახიობანი და განცხრომანი და გინება, ღვთისა განმარისხებელი, და ყოველი უწესოება ლაშქართა შინა მისთა და ურიცხვსა ... შინა სიმრავლესა ენათა ნათესავთა მოსპობილ იყო, ვითარცა ცათა შინა მყოფთა შორის.

ასე დაკრძალული ჰყოლია დავითს თავისი ლაშქარი, ასე გაუწვრთვნია «მცირედ-მცირედ ბრძოლითა და სწავლითა, გონიერად და ღონიერად წინა-ძღომითა, მხნეთა ქებითა, ხოლო ჯაბანთა სადედოთა შთაცმითა და კიცხევით ძაგებითა». ამიტომ იყო, რომ «სპათა შინა მისთა არ იპოვებოდა ჯაბნად ზრახული».

### VI

ასეთი მეომარი და მხნე კაცი ამასთანავე დიდი მოყვარული იყო წიგნისა. დავითს უყვარდა მეტად სამღვთო-წერილის კითხვა და სამღვთო წიგნებში უფრო — სამოციქულო. წიგნები თან დაჰქონდა, საცა უნდა წასულიყო: სალაშქროდ, თუ სანადიროდ. «სადა გარდახდის ჰუნეთა, პირველ წიგნნი მოაქვნდინ ხელითა». ვიდრე კითხვით არ დაიღლებოდა, თავს არ დაანებებდა წიგნსა. სადილსა და ვახშმის შემდეგაც მაშინვე წიგნს მოიკითხავდა. როცა თვალები ეტკინებოდა და ძილი მოუვიდოდა, მისცემდა წიგნს სხვას და იმას აკითხებდა. საკვირველი ეს იყო, — ამბობს მემატიანე, — რომ გამოელევიებოდა და, უკეთუ ... წაკითხული, ... ტებდა ძალსა და სიღრმესა მისსაო». აბა ნადირობაზე კაცის დამატყვევებელი სხვა რა იქნებაო, მაგრამ ნადირობაშიაც-კი წიგნები თანა ჰქონდაო. დავითი, რამდენჯერაც წაიკითხავდა სამოციქულოსა, იმდენს ნიშანს დასვამდა ბოლოში. ერთის წლის გასულსაო, ამბობს მემატიანე, — «მით ნიშნითა აღვთვალეთ და ოც-და-ოთხჯერ წარეკითხა». ყველას გაეგონება ... აბავი, როცა, ავჭალას ახლო მტერს ჩაუსაფრდა და, ვიდრე მტერი გაჩნდებოდა, წიგნის კითხვით შეექცეოდა. მაგრამ წიგნის კითხვამ ისე გაიტაცა, რომ სულ გადაავიწყდა მტერი იმ დრომდე, ვიდრე ყიჟინა არ ასტყდა. ამის გამო საშინელს საფრთხეში ჩავარდა კერძოდ თვითონ, თუმცა-კი დიდად სძლია იმ ჟამად მტერსა.

დავითს, ამ მტრის ზარ-დამცემს მეფეს, ამ სასტიკს მხედართ-მთავარს ლაშქრობაში, წიგნის სიყვარულთან მეტად ლმობიერი, ჩჩვილი და კაცთმოყვარე გულიცა ჰქონდა. იმ საკურნალოში, რომელიც აღაშენა პირველის ომის შემდეგვე სნეულთა და საპყართათვის და მოაწყო და მოუმზადა ყოველივე «სახმარი მათი», მუდამ დაიარებოდა თვითონ და დიდის ლმობიერებით ეპყრობოდა ყოველს ავადმყოფსა. მრავალჯერ გვინახავსო, ამბობს „ქართლის ცხოვრება“, იგი მეფე დამლტობელად ლაწვთა თვისთა ცრემლითა ხილვასა ზედა სენით განცდილთასა... ამაზეა ნათქვამი:

> «მამაკაცის თვალში ცრემლი
> დიდ-სულოვნობის შვილია!..»

აი როგორ მოგვითხრობს სამკურნალოს ამბავს «ქართლის ცხოვრება»:

> შინა შეკრიბნა ძმანი თვითო სახითა სენითა განცდილნი. და მოუმზადა ყოველივე სახმარი მათ უნაკლულოდ და უხვებით. და განუჩინნა მესაგალნი და საღვაწონი მათნი ყოველივე. ხოლო თვით მივიდის, მიიხილნის, მოიკითხნის და ამბორს უყვნის თვითეულსა, ჰფუფუნებდის მამებრ, წყალობდის, ჰსატრიდის, განამხნევებდის, ძოხსხის თვისთა ხელითა ცხედრები, სამოსლები და საგებელი მათი, პინაკი და ყოველი სახმარი მათი, მისცის თვითოეულსა ოქროი და განაგრძელის ზედა-მდგომელნი მათნი».

36 წელიწადი იმეფა დავითმა და გარდაიცვალა 55 წლისა. დავით დასაფლავებულ იქმნა გენათის ტაძარში. საფლავის ქვაზე აწერია ხუცურის ასოებით წინასწარმეტყველ დავითის ფსალმუნიდამ: «ესე არს განსასვენებელი ჩემი უკუნითი უკუნისამდე, ამას დავემკვიდრო, რამეთუ მთნავს ესე».

გათავდა დიდებული მეფე, გამაერთებელი და შემკრებელი ერთ სამეფოდ სრულიად საქართველოსი, დაასრულა დღენი თავისნი წმინდა გვირგვინოსანმა, «მრჩობლ მარჯვენემ და სასურველმა დავით, რომელი ესე ერთბამად მხნეცა არს და ბრძენ, მართლ და წმიდა, მყუდროცა და მშვიდ, სახიერ და ტკბილ, მოწყალე და ძვირ-უხსენებელ».

აღესრულა დიდი მეფე, წმიდა კაცი, ჩაესვენა მზე საქართველოსი 24 იანვარს, დღესა შაბათს. საქართველოს ეკკლესიამ შერიცხა იგი წმიდათა თანა და დასდო 26 იანვარი მის სახსენებლად. მოვიხსენოთ ჩვენც დღეს, სიტყვისამებრ წინასწარ მეტყველისა, დღენი მისნი წარსულნი, რათა გულის-ხმა ვყოთ და თავი ჩვენი გავიწროთ.

---

*) ... წერილი თ. თათარხან დადეშქელიანისა: «განხილვა საქართველოს მხედართმთავრისა ...»

**) ... «ნაპოლეონ I ბონაპარტი» ...

არ გვიფენს ვარდით და თითონაც არ გვეფინება ფიანდაზადაო.

ცხარობენ, ბრაზდებიან, ცეცხლს იკიდებენ და ის-კი სწყინთ, თუ ვინმე შეჰბედავს და ეტყვის:

— იუპიტერო, რომ სცხარობ, გეტყობა, მტყუანი ყოფილხარო!

არც ის უნდათ მოიგონონ, რომ ira furor brevis est!

თუ წვრილ-ფეხა ვინმე აჰყვა იმათს ხმასა, მაშინ ნულარ იტყვი, როგორ გაიბერებიან, გაიფხვირებიან, ყურები გადმოუპირქვავდებათ, ცალიერა გოგრას მძიმედ მოიღერებენ და ორივ მხრებზე კალმებს შეიწყობენ, რათა წამ-და-უწუმ ხალხს დაანახვონ, რომ ძრწოდეთ და სცახცახებდეთ წინაშე ჩვენსა, თუ არ გინდათ განგაცამტვეროთ და აღგავოთ პირისაგან ქვეყნისაო.

ეს ქვე-მძრომნი, მართალი რომ სთქვას კაცმა, საკიცხავნი-კი არა, შესაბრალისნი არიან, სულით ავად იმყოფებიან, არ იციან, რას იქმან, და იმათს როგორმე დამშვიდებას უნდა ვეცადნეთ, დაწყნარებას, რათა სულ თოკით-დასაბმელები არ შეიქმნენ; ოღონდ ცოდვას-კი ნუ დაატრიალებენ და გულზედ ხელი უნდა დავიკრიფოთ, ქუდები მოვიშველიოთ თავიდგან და კრძალვითა და მოწიწებით მოვახსენოთ:

— დიდებულ და ყოვლად შემძლებელ ხართ და იქმნებითმცა უკუნითი უკუნისამდე!

ორ-ანი

## უცხოეთი

**გერმანია.** თავადი ბისმარკი ინახულა ამ დღეებში რუმინიის საერო განათლების მინისტრმა სტურძამ ფრიდრიხსრუეში. ყველანი ალაპარაკდნენ ამ ამბის გამო, რადგან დღევანდელი დღე მეტად განსაცდელიანი დროა. ამბობენ, რომ გერმანიისა და რუმინიის შორის მეგობრობა ჰსუფევს და ამ გარემოებას, რასაკვირველია, დიდი მნიშვნელობა აქვსო.

— თავადი ბისმარკი თურმე დაიცავს რეისსტაგში იმ პროექტს, რომელიც შეეხება ახალის სახარჯო ფულის გადადებას სამხედრო საქმეთათვის. მერედ რომ დაიწყობენ ამ პროექტის კითხვას, ბისმარკი მაშინ ილაპარაკებს მისდა სასარგებლოდ და ახსნის კიდეც, რად უნდათ ამ პროექტის დამტკიცებაო.

— ბერლინში დიდს მზადებაში არიან კრონ-პრინცის მისაღებად და დიდის ამბით დასახვედრადაო.

— წევრს პრუსიის დეპუტატთა პალატისას, ბ-ნს იამევსკის, მოუყვია მიზეზად ის გარემოება, რომ მთავრობამ ბრძანა პოზნანსა და დასავლეთ-პრუსიის სკოლებში ნულარ ასწავლით პოლშურს ენასაო, და უთქვამს სხვათა შორის: «პოლშელები თავიანთ მოვალეობას ისე ასრულებდნენ, როგორც შეეფერებოდა პრუსიის ერთგულს მოქალაქეებსაო, და ამიტომ არაფრით არ დაუმსახურებიათ, რომ ასე სასტიკად დაისაჯნენ და წაერთვათ სამშობლო ენაო».

— სტრასბურგში შეუპყრიათ ბ-ნი შნეიდერი, რომელსაც სამხატვრო გაზეთში დაუბეჭდია შემდეგი სურათი: დარაჯი შედის პატიმართან, რომელიც ის-ის არის გაქცეულა და კედლებზე და-უწერია: «გაუმარჯოს საფრანგეთს! მალე დავბრუნდები და გაჩერდები ზედაც თან წამოვუვებთ!»

**ინგლისი.** გოშენს, რომელსაც ისეთის ოხუნჯობით იხსენიებდა დუერის სიტყვაში გლადსტონი, ულაპარაკნია ამ დღეებში გლადსტონის წინააღმდეგ. ხაზინის კანცლერს უთქვამს, რომ პარლამენტის სესსია შემდეგში ინგლისის საქმეებისათვის მოიცლისო, ჩვენი პოლიტიკა ირლანდიის შესახებ გონივრული პოლიტიკააო, მე უარსა ვყოფ პარნელის აზრს, რომ ვითომ ჩვენი სამინისტრო ფეხ-მაგრად ვერა სდგასო. «მე არა მგონიაო,—უთქვამს ორატორს გოშენს—რომ როდისმე ყოფილიყოს ისეთი შეწყობილი, ერთგული და ერთსული კაბინეთი, როგორიც არის კაბინეთი ლორდის სალისბერისა. ჩვენ ვიცით, რაც გვწადიან და ვენდობით ერთმანერთს. ჩვენ ვიცით, რა სწადიანთ ჩვენს მოკავშირეთ და ვენდობით კიდეცა. ამ ორის კვირის წინად ხმა გავრცელდა, რომ ვითომ უთანხმოება ჩამოვარდნილიყოს კაბინეთის წევრთა შორის. ეს ტყუილია. ჩვენ გვაქვს პროგრამმა და თანხმობითაც ვმოქმედობთო».

**ოსმალეთი.** „Times"-ის სწერენ სტამბოლიდამ: «გადაწყვეტილია, რომ არა თუ გამაგრებულ იქმნას ადრიანოპოლის ციხენი, არამედ გაძლიერდეს მეორე კორპუსიცა, რომელიც საზღვარზე სდგას და რომელშიც უნდა ირიცხებოდეს უთუოდ 60,000 მეომარი. ცალკე ბრძანება გამოვიდა, რომ ამ ჯარს თავის დროზედ ეძლეოდეს ჯამაგირი და ყოველი ისეთი შეღავათი მიეცეს, როგორიც აქვთ მინიჭებული სამეფო ქალაქის ჯარებსაო». არავინ იცის, რა არის მიზეზი ამისაო.

## გასართობი

საფრანგეთის გაზეთებში ალექსანდრე დიუმაშვილი აღგვიწერს ერთს შემთხვევას თავის მამის ცხოვრებიდგან, იმ დროისას, როცა დიუმამამა ლონდონში ყოფილა. დიუმა და ვიქტორ ჰიუგო, რომელიც იმ დროს ლონდონში იყო, მიიწვია თურმე სადილად საფრანგეთის ელჩმა, ჰერცოგმა დეკაზმა; სხვათა მიპატიჟებულთა ხარისხოვან სტუმართა შორის იყო აგრეთვე განთქმული ინგლისის პრემიერი, ლორდ პალმერსტონი მეუღლითურთ. ლორდი და ლედი ელჩისას სულ უკველაზედ ადრიან მივიდნენ თურმე და ამიტომ სახლის პატრონმა ვერ მოასწრო, რომ უკველა სტუმრები გაეცნობებინა ერთმანერთისათვის. სხვათა შორის ვერ გააცნო თურმე პალმერსტონს ვერც ვიქტორ ჰიუგო და ვერც დიუმა. სადილს შემდეგ სტუმრები ჯგუფ-ჯგუფად განაწილდნენ და დაიწყეს ჩაის სმა; ვიქტორ ჰიუგო და დიუმაც განცალკევებით ისხდნენ და ჩაის შეექცეოდნენ. უეცრად მსახური მივიდა ამ მწერლებთან და სთხოვა, რომ ნება მომეცით თქვენ შუა მესამე სკამი დავდგა... ლორდის პალმერსტონისათვისაო. ამ ახირებულმა სურვილმა ლორდისამ, რომელიც სადილის დროს ყურადღებას არ აქცევდა გამოჩენილს მწერლებს და არც ერთისათვის არც-კი შეუხედნია,—რასაკვირველია, ძალიან გააკვირვა მწერალნი და ელოდნენ თურმე, რომ აცა რას იზამს ლორდი, კიდევ რა ახირებული აზრი მოსვლიაო. დასასრულ ლორდი პალმერსტონი მივიდა თურმე იმ ახალად დადგმულ ცალიერ სკამთან თავის მეუღლით, არც ერთს მწერალს თავი არ დაუკრა, არც-კი გამოეხმაურა, არც-კი შეჰხედა, და ხელით ანიშნა ცოლს, ცალიერს სკამზედ დამჯდარიყო. რამდენისამე წუთის შემდეგ ლორდი პალმერსტონი გაჩერდა თურმე თავის მეუღლის წინა და იკითხა:

— მილედი, რომელი საათია ეხლა?

ლედიმ შეჰხედა საათს და უთხრა:

შუადღიდგან 35 წუთია გადასული

— მაშ გახსოვდეთ, ქალბატონოვო,—შენიშნა თურმე მაშინ გამოჩენილმა კაცმა ინგლისისამ—გახსოვდეთ, რომ დღევანდელს დღეს, პირველს ნახევარზე, ვიქტორ ჰიუგოს და ალექსანდრე დიუმას შორის იჯდეთო!

ეგ ისეთი პატივია, ისეთი დიდი სახელია თქვენთვის, რომ ძნელად თუ კიდევ როდისმე თქვენს სიცოცხლეში ამისთანა პატივი და სახელი ჰნახოთო.

სთქვა თურმე ეს ლორდმა, ხელი გაუშვირა ცოლსა, წამოაყენა და ისევე ჩუმად, ხმა-ამოუღებლივ განშორდა გაოცებულს მწერლებს, როგორც მიუახლოვდა, არც შეჰხედა, არც თავი დაუკრა, თუმცა კარგად მოეხსენებოდა, ვინც იყვნენ ეს მწერალნი, ეს გამოჩენილნი კაცნი ჩვენის საუკუნისანი.

## დეპეშა

22 იანვარი

**პეტერბურგი.** ციმბირის რკინის გზების გამო «Бирж. Вѣд.»-ი ამბობს, რომ წელს განზრახვა აქვთ დაათავონ კვლევა უსსურიისა და შუა-ციმბირის რკინის გზისა ირკუტსკამდე, დათვალიერება კრუგო-ბაიკალის გზისა და გამოკვლევა ნახევრამდე მაინც ზაბაიკალის გზისა. წრეულვე ხელ-მეორედ დაიწყებენ კვლევას უმთავრეს კავკასიის ქედზე გადასავალის რკინის გზისას.

წრეულსავე სახელმწიფო საბჭო განიხილავს და გადასწყვეტს, რომ მემადნეებს უფრო მეტი ფული ეძლეოდეთ სესხად.

«Гражданинъ»-ი ამბობს, რომ იმ კომისიაში, რომელიც შესდგა შინაგან მინისტრის ამხანაგის პლევეს თავ-მჯდომარეობით, რათა შეეწიონ რითმე მეურნეობისა და ხვნა-თესვის საქმესა, შემდეგნი წევრნი არიან: «ხეოკლადნი სბორების» დირექტორი და მეურნეობის დეპარტამენტის დირექტორივე. მოწვეულნი იქნებიან ის მემამულენიც, ვისაც თავ-მჯდომარე ირჩევს.

«Нов. Вр.»-ია ამბობს, რომ ის ხმა, ვითომ ფინანსთა სამინისტროში შესდგა კომისია, რომელმაც უნდა დროებით ახსნას ბაჟი ანუ შეამციროს იგი საზღვარ გარეთიდამ მოტანილს ბამბეულ საქონელზე, მართლდებაო. პეტერბურგში მოიწვიეს სამი მცოდნე კაცი მოსკოვის სამანუფაქტურო საბჭოსიო.

«Новости» იუწყება, რომ 15 თებერვლიდამ 25 თებერვლამდე პეტერბურგში იქმნება კრება პურის-მფქველთაო.

23 იანვარი

**პეტერბურგი.** გამოცხადებულია შემდეგი დადგინება მინისტრთა კომიტეტისა: 1) დამტკიცებულ იქმნას განკარგულება გზათა მინისტრისა იმის თაობაზედ, რომ რკინის გზებს აეკრძალოთ ცალკე ნება-დაურთველად გადასაზიდის ფასის დაკლება იმ პურზედ, რომელიც ან ნავთ-სადგურებშია, ან დასავლეთის საზღვრებთან არის მოტანილი; 2) განსჯა იმ საგნებისა, რომელიც შეეხება ტარიფების შეცვლას მიენდოს ცალკე კრებულს მინისტრებისას: გზათა მინისტრსა, სახელმწიფო ქონებათა მინისტრსა, სახელმწიფო კონტროლიორსა და ფინანსთა მინისტრსა, სახელმწიფო ეკონომიის დეპარტამენტის თავ-მჯდომარის თავ-მჯდომარეობით და 3) მიენდოს გზათა მინისტრს შემოიღოს ის ტარიფები, რომელსაც ზემოხსენებული კრებული საჭიროდ დაინახავს, და გამოაცხადოს ძველი ტარიფების შეცვლისა და ახლების შემოღების ვადად ის დრო, რომელსაც კრებულივე დაჰნიშნავს.

**ვენა.** „Fremdenblatt"-ს სწერენ დეპეშით სოფიიდამ, რომ იმ მეამბოხეთა შორის, რომელნიც შეიკრიბნენ ოსმალეთის საზღვარზე და ემზადებოდნენ ბოლგარიაში შესეულიყვნენ, რათა აჯანყება მოეხდინათ ბურღასისა და ესკი-ზაგრის ოლქებში, ოსმალეთის მთავრობამ შეიპყრო 41 კაცი და გაჰგზავნა ადრიანოპოლსაო.

**ბრიუსსელი.** ბოლგარიის მმართველებმა მიანდვეს აქაურს ფულის სამჭრელოს (МОНЕТНЫЙ ДВ[illegible] კელის ფული მოსჭრას ბოლგ[illegible]თვის.

**ლონდონი.** სასამართლომ გადუწყვიტა დღეს მედინამიტე კოლლანდას და გარკინს ციხეში დამწყდევა 15 წლის ვადით.

პეტერბურგის ბირჟა 22 იანვარი.

| | მყიდველნი | გამყიდველნი | გაყიდულია |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთმანათიანი ოქრო | — ,, | — ,, | 9 30 |
| ტამოჟნის კუპონები | — ,, | — ,, | 186 |
| მანათიანი ვერცხლის ფული | — ,, | — ,, | 1 32 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | — ,, | — ,, | 264½ |
| — მეორისა | — ,, | — ,, | 247½ |
| გირავნობ. ფურცელნი ტფილისის ბანკისა | — ,, | — ,, | 98½ |
| ქუთაისის ბანკისა | — ,, | — ,, | 98½ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზო. გადოებისა | — ,, | — ,, | — " |

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპჰ (1888) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ **7396**.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უპ=480 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მდ=44 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1888 წლის ზედ-ნადებია—25.

**იანვარი 31 დღით არის**

24 დღე კვირა. ღირსისა დედისა ქსენიასი და მაკედონიასი. კათოლ. წმ. მოწ. ტიმოთესი. სომეხ. წმ. გაჰანისა. მუსულ. მე-22 რიცხვი თთვისა ჯემად-ულ-ევველისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—14. ტფილისში მზე ამოდის 7—9, ჩადის 5—20. მთვარე 24 დღისაა.

25 დღე ორშაბათი. წმ. გრიგოლ ღვთის-მეტყველისა. კათოლ. მოქცევა წმ. მოციქ. პავლესი. სომეხ. ქალწ.-მოწ. ევგენიასი. მუსულ. მე-23 რიცხვი თთვისა ჯემად-ულ-ევველისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—14. ტფილისში მზე ამოდის 7—8, ჩადის 5—21. მთვარე 25 დღისაა.

26 დღე სამშაბათი. წმ. ქსენოფონტისა. კათოლ. წმ. მოწ. პოლიკარპისა. სომეხ. გრიგოლ ღვთის-მეტყველისა. მუსულ. მე-24 რიცხვი თთვისა ჯემად-ულ-ევველისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—14. ტფილისში მზე ამოდის 7—7, ჩადის 5—5. მთვარე 26 დღისაა.

27 დღე ოთხშაბათი. წმ. იოანე ოქროპირის ნაწილთა გადმოტანა. კათოლ. წმ. ოქროპირისა. სომეხ. მარხვაა. მუსულ. მე-25 რიცხვი თთვისა ჯემად-ულ-ევველისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—13. ტფილისში მზე ამოდის 7—6, ჩადის 5—24. მთვარე 27 დღისაა.

28 დღე ხუთშაბათი. ღირსისა ეფრემისი და პალლადისი. სომეხ. ევგენიასი, მაკარიასი და სხ. მუსულ. მე-26 რიცხვი თთვისა ჯემად-ულ-ევველისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—14, ტფილისში მზე ამოდის 7—4, ჩადის 5—25. მთვარე 28 დღისაა.

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და ყირიმში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარგარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-დამისას შორის გზით.

პარასკეობით დილით ოდესიდამ [illegible] -დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით; ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკეობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთსადგურებიდამ გადაწყვეტილის ვა-[illegible]

კვირაობით, საღამოზე, და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავის საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდამ პარასკეობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებისაკენ, ხოლო თუ საჭიროა, ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანავოსნო საზოგადოების სააგენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 101.


## განცხადებანი

ტფილისის დამოქნაში

იანვრის 25 და შემდეგს დღეებში გაისყიდება აუქციონით ხალიჩები და სხვა-და-სხვა უცხო ქვეყნების საქონელი, აზიაში ნაკეთები. (1—1)

ШОКОЛАТЪ
С. СІУ и Ко

დავიწყეთ გასყიდვა
სრულიადა უშიშარის
შვედურის საიჩკებისა,
რომელიც ძლიერად განკარგებულია და გაუმჯობესებული, თეთრი ალი აქვს და ფრიად იაფადაცა ღირს. ნარდად მყიდველთ ბევრი დაეთმობათ.

ქარხანა
გ. გ. ტერ-ასატუროვისა და კº.
ვერაზე, ტფილისის ქალაქში.
(50—12)


Изд[illegible] Михельсона. Печатано въ т. д. Читахова. [illegible]